საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/50

ქ.თბილისი

„25" ოქტომბერი 2017 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გასაგზავნ რიგ დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ" კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 31 მაისის N6/27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან გასაგზავნ რიგ დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ" კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 31 მაისის N6/27 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") ადმინისტრაციის უფროს იოსებ ხარებავას, ან ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული კომისიიდან გასაგზავნი შემდეგი დოკუმენტაციის ხელმოწერის უფლებამოსილება:

ა) კომისიის სხდომის გამართვის თაობაზე შეტყობინება;

ბ) კომისიის გადაწყვეტილების თანხმლები წერილი;

გ) კომისიასა და კომისიის აპარატში დასაქმებულებზე გასაცემი ცნობები;

დ) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის თაობაზე წერილი."

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის უფროსს (ი.ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური